ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

განკარგულება:**g-37. 3723024001**
თარიღი:**24/01/2023**

განკარგულება N1

24 იანვარი 2023 წელი

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის, ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის N1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტის და 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმა თანახმად დანართისა (დანართი თან ერთვის).

2. ამ განკარგულების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის N2 განკარგულება.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი. სიორიძის N14) მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი